ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 261

სახელმწიფო შესყიდვები შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(მომსახურების შესყიდვა)

ზესტაფონი 23 ოქტომბერი /2015 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მისი გამგებლის ტარიელ თუთარაშვილის სახით (მისამართი: ქ.ზესტაფონი წერეთლის ქ. №11 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ინდ.მეწარმე ,,ავთანდილ ბააკაშვილი"-ს სახით (მისამართი : ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ.N2) შემდგომში (შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 23/10/2015 წლის N2473-43 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -"ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტი და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "შემსრულებელი" პირი, რომელიც ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მომსახურების შესყიდვა კლასიფიკატორის კოდით : 79900000 (წარმომადგენლობითი ხარჯები).

შემსყიდველი **შემსრულებელი**

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია - მომსახურების შესყიდვა, კერძოდ 2015 წლის 23-24 ოქტომბერს მიმდინარე ჭიდაობის რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილე სტუმრების სუფრით გამასპინძლება (25 კაცზე) 2015 წლის 24 ოქტომბერს.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 559 (ხუთასორმოცდაცხრამეტი) ლარი.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორების შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად;

გ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

5.3. შემსრულებელს უფლება აქვს :

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

5.4. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდება 2015 წლის 24 ოქტომბერს.

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

დ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, გარანტია და მიწოდების ადგილი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი, წუნის აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელმა უნდა აღმოფხვრას ის საკუთარი ხარჯებით.

6.2. მომსახურების მიწოდების ადგილია - ზესტაფონი აღმაშენებლის ქ. N2.

შემსყიდველი **შემსრულებელი**

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2. ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 თებერვლის N 43/281 ბრძანებით შექმნილი კომისია.

მუხლი 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურეობის შესრულების - აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

10.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

10.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენისა და ანგარიშფაქტურის მიხედვით 10 საბანკო დღის ვადაში.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით უნდა გაეგზავნოს მხარეს. შეტყობინების მიწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

11.2. შეტყობინება შეიძლება გადაიცეს ხელიდან ხელში მხარის დამოწმებით ან კურიერული ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების ამავე მუხლის შესაბამისად.

12.3. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს

შემსყიდველი

შემსრულებელი

აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

12.4. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორს-მაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლით.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან/და ვადის გადაცილების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0,1 %.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3% -(სამი), შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. შემსრულებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

13.5. ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მომსახურების შემსრულებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის (ოცდაათი) ოდენობით.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

16.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი

შემსყიდველი **შემსრულებელი**

მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 17. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 03 (სამი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენელების მიერ.

მუხლი 19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

გამგებელი
ტარიელ თუთარაშვილი

სს „ლიბერთი ბანკი"
ზესტაფონის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ა/ა № **GE03LB0120177576710000**
ს/კოდი: **230087045**
მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N11
ტელ: 0(492) 25 26 26

შემსრულებელი:
ინდ.მეწარმე „ავთანდილ ბაკაშვილი"

ავთანდილ ბაკაშვილი

ს.ს „რესპუბლიკა ბანკი"

ბანკის კოდი: **REPLGE22**
ა./ა № **GE91BR0000010250655462**
ს/კოდი: № 18001048454
მის: ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. N2
ტელ: 599 33 76 22

ვიზის ავტორები:
მალხაზ მაჭავარიანი
ტარიელ სახელაშვილი
ვიტალი ჩინჩალაძე
ბორის ჭიჭინაძე
მაია ხვედელიძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2015 წლის 23 ოქტომბერი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 05 თებერვლის №43/281 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ინდ.მეწარმე ,,ავთანდილ ბაკაშვილთან" 559 ლარის ღირებულების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით.

ტარიელ თუთარაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

1. ვახტანგ ღამბაშიძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)
2. ბორის ჭიჭინაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
3. ნიკოლოზ ბარბაქაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
4. გოჩა ჩინჩალაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
5. მაია ხვედელიძე (სამუშაო ჯგუფის დროებითი წევრი)